





ბრუნო შულცი

# დარიჩინის ქულბაქები

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

ბრუნო შულცი  
ღარიჩინის ქულბაქები

Bruno Schulz  
SKLEPY CYNAMONOWE

მთარგმნელი მარიამ ჩადუნელი

გარეკანზე: ეგონ შილეს „კრუმაუ“ (ფრაგმენტი)



წიგნი გამოიცა პოლონეთის წიგნის ინსტიტუტის მთარგმნელობითი პროგრამის მხარდაჭერით

This Publication has been supported by the © POLAND Translation Program

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-548-6

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)



ბრუნო შულცი, ავტოპორტრეტი



## სარჩევი

აგვისტო .....	9
გამოცხადება .....	23
ჩიტები .....	35
მანეკენები.....	43
ტრაქტატი მანეკენებზე ანუ შესაქმის ახალი წიგნი.....	53
ტრაქტატი მანეკენებზე (გაგრძელება).....	61
ტრაქტატი მანეკენებზე (შეჯამება) .....	67
ნებროთი .....	75
პანი .....	83
ბატონი კაროლი.....	89
დარიჩინის ქულბაქები .....	95
ნიანგების ქურა .....	111
ტარაკანები.....	127
გრიგალი .....	135
დიადი დროის ღამე.....	145





აბკინტი



ივლისში მამაჩემი სამკურნალო წყლებზე გაემგზავრა – მე, დედა და ჩემი უფროსი ძმა კი ზაფხულის ხვატს შეგვატოვა. ახლა, აგვისტოს თვალისმომჭრელი შუქით გაბრუებულები, არდადეგების იმ მრავალფურცლიან წიგნში ვიყურებოდით, რომლის თითოეული გვერდიც მზეზე კრთოდა და მნიფე, ჩაშაქრული, ოქროსფერი მსხლების მათრობელა სურნელს აფრქვევდა.

ყოველი ასეთი ჩახჩახა დილა ბაზრიდან ადელას დაბრუნებით იწყებოდა. ცეცხლის ალიდან თავდაღწეული პომონასავით გამოჩნდებოდა ხოლმე და მაგიდაზე აპირქვავებდა მზის ფერადოვანი მშვენიერებით პირმობმულ კალათას: ვარდისფრად მბზინავ, თხელკანიან, წყლიან ბალს, იდუმალად ჩაშავებულ, მნიფე ალუბალს – სურნელი რომ გემოზე კიდევ უკეთესი ჰქონდა, და გარგარს, რომლის ოქროსფერი გარსის მიღმაც თავად ამ განელილი ნაშუადღევის ფარული საზრისი ჩაბუდებულიყო. ხილთა ქების ამგვარ წმინდათანმინდა პოეზიას მერე უკვე ხორცის ნაჭერიც მოჰყვებოდა ხოლმე – ძალ-ლონით გაძეძგილი ნეკნების კლავიატურა და წყალმცენარეების, მკვდარი რვაფეხებისა თუ მედუზების მსგავსი ბოსტნეულობა – სადილ-ვახშმის ეს აუცილებელი ნედლეული, ჯერაც გაურკვეველი გემოს მქონე კერძის მიწიერი, სოფლური სურნელით სავსე, მცენარეული საკმაზები.

ბაზრის მოედანზე წამომართული სახლის მეორე სართულზე ჩრდილმიმდგარი ბინა, ყოველდღიურად, საკუთარ ჭერქვეშ გადაატარებდა ხოლმე ზაფხულის ხვატს: მდუმარებით გაძეძგილი ჰაერის თრთოლას; ცხელ სიზმრებში ჩანთქმულ მზის ოთხკუთხა ლაქების ციმციმს იატაკზე; თითოეული დღის იდუმალი, ოქროს ძარღვიდან მომავალი არღნის კენესას; სადღაც შორს, უხილავ პიანინოზე გაუთავებლად აჟღერებული მისამღერის ორ-სამ ტაქტს, თეთრ ქვაფენილზე რომ ლღვებოდა მზეში და თაკარა შუადღის ცეცხლში რომ ინავლებოდა...

ადელას ჩვევად ჰქონდა – სახლის დალაგებას მორჩებოდა თუ არა, ფარდებს ნევდა და ოთახებს კიდევ უფრო აბნელებდა. ყოველი ფერი წამსვე თითო ოქტავით დაბლდებოდა, ოთახი ბინდში იძირებოდა და თითქოს ზღვის ფსკერზე ეშვებოდა. შუქიც ახლა მომწვანო წყლის სარკეებში ირეკლებოდა და ხვატის ამონასუნთქიც ოდნავა არხევდა ნაშუადღევის თვლემამიცემულ სქელ ფარდებს.

შაბათობით, უკვე მთლად მოსალამოვებულზე, მე და დედა სასეირნოდ გავდიოდით ხოლმე – წინკარის ბინდიდან თვალისმომჭრელად კაშკაშა შუქში ვაბიჯებდით. დამდნარ ოქროში მოცურავე გამვლელებს თვალები მოეჭუტათ, თითქოს თაფლით განებვიათო, და ზედა ტუჩანუელებს კბილები მოუჩანდათ. ამ ოქროსფერად მოელვარე დღეს გარეთ გამოსულებს – სახეზე ყველას ერთნაირი, დასიცხული გამომეტყველება ედო. გეგონებოდა, მზეს საკუთარი თაყვანისმცემლებისთვის ებრძანებინა, ოქროს ერთნაირი პირბადეები მოერგოთ და ახლა დიდ-პატარა, ქალი თუ ბავშვი სახეებზე ოქროს სქელი საღებავით მიხატული ნიღბებით ესალმებოდა ერთმანეთს – ერთი წარმართი სახე ბაკქის მიმდევართა ველური ღიმილით შეჰღიმოდა მეორისას.

ბაზრის მოედანი უკაცრიელი ჩანდა და თეთრად ვარვარებდა – მთლად ცხელი ქარამოტებით გადახვეტილ ბიბლიურ უდაბნოს ჰგავდა. ამ სიცარიელეში ამოზრდილ ეკლიან აკაციებს ძველ გობელენებზე გამოსახული ხეებივით მქრქალი ფოთლები ესხათ და

მართალია, სიოც არ იძროდა, მაგრამ მაინც ამაყად აშრილებდნენ მწვანე სამოსელს ვერცხლისფერი სარჩულის სინატიფის ხაზგასასამელად, მავანი კეთილშობილის მელიის ბენვით განწყობილ მოსასხამს რომ მოგაგონებდათ. ვინ იცის, როდინდელი ქარებით კედლებგაგლუვებული ძველი სახლები ათასნაირად ირეკლავდნენ მზის შუქს და უღრუბლო ცის სიღრმეში გაბნეული ფერების მოგონებასა თუ გამოძახილს აცოცხლებდნენ. ასე ჩანდა, თითქოს ზაფხულის დღეების არაერთ თაობას ქვისმთლელთა უსაზღვრო მოთმინებით ჩამოეფხიკა ძველი ფასადებიდან ობმოდებული ბათქაშის მრავალი ფენა, ჯიუტად მოეშორებინა მაცდური ჭიქური და ახლა სულ უფრო და უფრო აშკარად აჩენდა ამ შენობების ჭეშმარიტ სახეს – იმ ნაკვეთს, რაც მათზე ბედისწერას გამოეკვეთა და ცხოვრებასაც უკვე შიგნიდან გამოეძერწა თავისებურად. დაცარიელებული მოედნის ხვატით დაბრმავებულ ფანჯრებს ღრმა ძილით დასძინებოდათ, აივნები საკუთარ სიცარიელეს შეჰღალაღებდნენ ზეცას, გამოღებული კარებიდან კი სიგრილისა და ღვინის ნოტიო სუნი გამოდიოდა. მოედნის კუთხეში ხვატის მწარე ცოცხს გამორიდებულ ი ბჭუჭობა დანგრეულ კედელთან შექუჩებულიყო და ღიღებისა თუ ხურდა ფულის სროლით ირთობდა თავს. ისეთი სიჯიუტე და მონადინება ეტყობოდათ, თითქოს ლითონის ამ პანია დისკოების მეშვეობით სურდათ, ამოეკითხათ კედლის ბზარებისა და ნაკანრების იეროგლიფთა ჭეშმარიტი მნიშვნელობა. მათ გარდა, მოედანზე არავინ ჩანდა, ოღონდ ისეთი განცდა გეუფლებოდათ, წამი-წამზე უნდა გამოჩნდეს ის ბიბლიური სამარიტელიო – სადავით შემოიყვანს თავის სახედარს, სირაჯის დუქნის ჩარდახიან კართან გაჩერდება, მერე კი ორი მსახური ფრთხილად გადმოსვამს სნეულს გახურებული უნაგირიდან და შიდა კიბის გრილი საფეხურებით, ნელ-ნელა აიყვანს უკვე შაბათის კეთილსურნელებით გაჟღენთილ ზედა სართულზეო.

ასე მივდი-მოვდიოდით მე და დედა ბაზრის მოედნის მზედამდგარ ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და სახლებზე, როგორც ფორტეპიანოს კლავიშებზე, დავატარებდით ჩვენსავე დატეხილ ჩრდი-

ლებს. ჩუმი ნაბიჯების ქვეშ აუჩქარებლად ენაცვლებოდა ერთმანეთს ქვაფენილის ფილები: ზოგი – ადამიანის კანივით ღია მოვარდისფრო, ზოგი – ოქროსფერი, ზოგიც – მტრედისფერი, ოღონდ ყველა ერთნაირად გლუვი, შემთბარი და ოქროსფრადვე გახავერდოვნებული, საბოლოოდ კი – ნაბიჯებით გადაქედილი მზის საათების მსგავსად – ნეტარი არარსებობისთვის განწირული.

სულ ბოლოს, სტრიისკას ქუჩის კუთხეში, აფთიაქის წინ დაფენილ ჩრდილში შევაბიჯეთ. ვიტრინაში გამოდგმული, ყოლოს წვენიტ სავსე, მუცლიანი ბოთლი იმ ბალზამთა სიკეთეს განასახიერებდა, ნებისმიერ სატკივარს რომ დაედებოდა წამლად. კიდევ რამდენიმე სახლს ჩავუარეთ და ქუჩამაც უცებ თქვა უარი ქალაქურ იერზე – თითქოს მავანი გლეხი თავის პატარა სოფელს დაბრუნებოდა, მშობლიურ გარემოში ამოეყო თავი და გზადაგზა, ნელი-ნელ იხდიდა საკვირაო სამოსელს – რაც უფრო უახლოვდებოდა მშობლიურ სახლს, მით მეტად იბრუნებდა პირვანდელ სახეს.

გარეუბნის სახლები, ფანჯრებიან-ყველაფრიანად, პანია ეზობალების ხელშეუვლებ ფერადოვნებაში ჩაფლულიყვნენ. ზაფხულის ნათლის მიღმა დარჩენილი სარეველა თუ ათასი ჯურის ველური ყვავილი თავის ნებაზე გაზრდილიყო: შვება ეგრძნო, რაკი ოდნავ მაინც მოეთქვა სული რალაც თავისაზე საფიქრელად, ამ უსასრულო დღეების დროით დასაზღვრული ჩარჩოებიდან თავდალწეულს. ღონიერ ღეროზე ამოზრდილი, წყალმანკიანივით გაფუყული, საზარელი, არაბუნებრივი ზომის გამო დამძიმებული, წელში მოხრილი მზესუმზირა კი ყვითელ ძაძაში გახვეული ითვლიდა ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. სოფლის ჩერჩეტი მაჩიტები და მორცხვი მატიტელები გახამებულ, თეთრ-ვარდისფერ პანია პერანგებში გამონყობილნი წამომართულიყვნენ და სულაც არ ადარდებდათ მზესუმზირის ავი ბედი.

გაუვალ ბალახ-ბულახს, სარეველასა და ეკალბარდს ნაშუად-  
ღვის ალმური ასდის. მთვლემარე ბაღში მხოლოდ ბუზებს აუტე-  
ხავთ ბზუილი. მზის გულზე ოქროსფრად მოლივლივე ყანა მკალის  
ჟღალი ღრუბელივით ხმიანობს, ცეცხლის თქეშში ჭრიჭინობლები  
კუთავენ და რომელიღაც მცენარესაც ისეთი ხმით უსკდება ჭოტი,  
თითქოს ეს-ესაა, დაფეთებულმა კალიამ ისკუპაო.

ღობესთან მიწას კუზივით აზის ბალახეულის მწვანე სანმისი  
– მიწნარე ბალი მუცელზე გადაბრუნებულა და ისე აუდ-ჩაუდის  
ფართო, გლეხური ბეჭები, გეგონება, გარინდულ მიწას ჩახვნი-  
შისო. აგვისტოს დაუდევარ, ქალურ სიმნიფეს თავი აუწყვეტია –  
ოროვანდის ფართო, ხშირი ფოთლების ჯურღმულებიდან თავზე-  
დურად ასავსავენებს ენებს ხორციანი ამონაყარის ხასხასა სიმწვანე.  
დასასვენებლად ჩამომჯდარი გლეხის გოგოსავით ურცხვად მოში-  
ლიფებულა იქაურობას მოდებული ეს ოროვანდი, ჭრელა-ჭრულა  
ქვედაკაბებში სანახევროდ გახვეული. ბალი ნებისმიერ მსურველს  
უსასყიდლოდ სთავაზობს თავის მონაგარს – ველური იასამანი იქ-  
ნება ეს, რახივით გამაბრუნებელი პიტნა თუ, საერთოდ, აგვისტოს  
ნაყარ-ნუყარის სხვა ათასნაირი მონარჩენი.

ღობის გადაღმა კი, ზაფხულის იმ გაუვალი ტევრის უკან, სა-  
დაც სარეველას თავანწყვეტილი უგუნურება ბატონობს, ველური  
ნარშავით დაფარული ნაგვის გროვია. არავინ იცის, რომ სწორედ  
აქ, ამ მივარდნილ კუთხეში გადაუწყვეტია აგვისტოს თვეს წლე-  
ვანდელი წარმართული ღრეობის გამართვა. სწორედ ამ მესერთან  
ჭკუანაკლული გოგოს, ტუიას სანოლი დგას, ველურ იასამანში ჩა-  
მალული: ათასნაირ ნაყარ-ნუყარში, გადაყრილ უვარგის ქვაბებს,  
გადაგდებულ ცალ ფეხსაცმელსა და ბათქაშის ნატეხებს შორის  
მწვანედ შეღებილი, ფეხებმომტვრეული სანოლი ორ აგურზეა შე-  
ყენებული. სანაგვის თავზე ხვატით გაველურებულ ჰაერს მალი-  
მალ, ელვასავით გასერავს ხოლმე მზისგან გაგიჟებული, მწვანე,  
მბზინავი ბუზების გუნდი. ირგვლივ ყველაფერი ტკაცუნობს – ამ  
უხილავი საჩხრიალოების ხმაური კაცს ჭკუიდან გადაიყვანს.